

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 8

ქ.თბილისი

2020 წლის 21 ოქტომბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2020 წლის 21 ოქტომბერს, სრკ-ს ბრძანება # 323/ზ 12/10/2020-ის მიხედვით სხდომა ჩატარდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

ონლაინ რეჟიმში სხდომაში მონაწილეობდა კომისიის 8 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათუნიანად, ამის გამო არცერთ მონაწილე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ირაკლი ჩიქავა, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ლაშა მაჭავარიანი, ლაშა თავართქილაძე, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის ი. ფურცელაძის ოქმი, თანამსაჯის ო. მოგელაშვილის საითინგი, ამა წლის 18 ოქტომბერს, რეგიონული ლიგის მატჩზე, ზესტაფონის „არწივები“-სა და გორის „გორი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

1. ზესტაფონის „არწივები“ მწვრთნელი ნიკა ჩიტალაძე - მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.2, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართ # 1-ის 1.2 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ზესტაფონის „არწივები“-ს მწვრთნელი ნიკა ჩიტალაძე დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით, ხოლო გუნდი დაჯარიმდეს 300(სამასი) ლარით.
2. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 2.1.19 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, კლუბის მიმართ ამოქმედდება ამავე პუნქტით გათვალისწინებული სანქცია.
3. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 1.2 პუნქტი და კლუბ ზესტაფონის „არწივებს“ რეგიონულ ლიგაში დააკლდება 3 (სამი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/